ხელშეკრულება N
აუქციონი № --------

ქ. თბილისი **--- --------- 2015წ.**

ჩვენ მხარეები, სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ოთარ დაბრუნდაშვილის სახით (შემდგომში „გამყიდველი“) და ----------, წარმოდგენილის მისი დირექტორის ---------- სახით, (შემდგომში „მყიდველი“), ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ვდებთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე ,,ნასყიდობის ხელშეკრულებაში” მოცემული გამოთქმები, თუ კონტექსტი არ მოითხოვს სხვაგვარად განმარტებას, ნიშნავს შემდეგს:

1.1. **,,მოძრავი ქონება”** _ სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის" (მის: მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი, საკადასტრო კოდი: 72.04.04.321) სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (№25 - ცხოველთა სადგომი, №26 - სანკვანძი, №24 - დამხმარე ნაგებობა, №20 - აუზი და №21 - საწყობი) დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილები და მასალები.

1.2. **,,ვადა”** _ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა.

1.3. ,,**საპრივატიზებო საფასური”** _ თანხა, რომელიც მყიდველმა უნდა გადაიხადოს გამყიდველის სასარგებლოდ მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების სანაცვლოდ.

1.4. **,,ფორსმაჟორი“** _ გულისხმობს შემდეგი გარემოებების არსებობას: ხანძარი, აფეთქება, სტიქიური უბედურება, სამხედრო მოქმედებები, რომლებიც გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომის შედეგია, აგრეთვე აჯანყებები, არეულობები, გაფიცვები, სამოქალაქო ომები, მღელვარებები და დანაშაულებრივი აქტები. ნებისმიერი სხვა მდგომარეობა, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და არ არის დამოკიდებული წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებზე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით, გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს დემონტაჟის შედეგად მისაღებ მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, სანაცვლოდ მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს საპრივატიზებო საფასური და განახორციელოს სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის" სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და გამოუსადეგარი სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. ,,გამყიდველი” ვალდებულია:

1.1. ხელი არ შეუშალოს მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაში;

1.2. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე არაუგვიანეს მეორე დღისა მყიდველს გადასცეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით განსაზღვრული წესით, ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 29 მაისის №642 ბრძანების საფუძველზე გამოცემული

№72 დემონტაჟის სანებრთვო მოწმობა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავებული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი, რაც უნდა დადასტურდეს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

2. ,,გამყიდველი" უფლებამოსილია:

2.1. მოსთხოვოს „მყიდველს" საპრივატიზებო საფასურის გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

2.2. ნებისმიერ დროს განახორციელოს „მყიდველის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების 3.7, 3.8 და 3.9 პუნქტებში მითითებული პირობების დარღვევისას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

2.4 გამოითხოვოს „მყიდველისგან" ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

3. ,,მყიდველი" ვალდებულია:

3.1. დროულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური;

3.2. დროულად გადაიხადოს კომუნალური გადასახადები. კომუნალური გადასახადები არ შედის საპრივატიზებო საფასურში;

3.3. „გამყიდველს" მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების თაობაზე;

3.4. განახორციელოს სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის" სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და გამოუსადეგარი სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავებული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტის მიხედვით, უსაფრთხოების ნორმების დაცვით 2015 წლის --- ---------- ჩათვლით;

3.5. „გამყიდველს" წარუდგინოს სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების საბოლოო ანგარიში ;

3.6. შეძენილი მოძრავი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3.7. ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში გადაიხადოს საპრივატიზებო თანხა ან წარმოადგინოს საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 5400 ლარზე.

3.8 იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად თანხა გადააჭარბებს 5400 ლარს, გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში გადაიხადოს 5400 ლარს დამატებული საბოლოო შედეგში დაფიქსირებული თანხა ან ამავე ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი ოდენობის საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია.

3.9 იმ შემთხვევაში, როდესაც აუქციონში გამარჯვებული გადაწყვეტს, რომ გამყიდველს წარუდგინოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.7 და 3.8 პუნქტებში მითითებული საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, ასეთ შემთხვევაში, გარანტიის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გატვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადას.

4. ,, მყიდველი” უფლებამოსილია:

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.7, 3.8 და 3.9 პუნქტებში მითითებული პირობების შესრულების შემდეგ არის უფლებამოსილი განახორციელოს ხელშეკრულებაში მითითებული სხვა უფლება-მოვალეობანი.

4.2. მოითხოვოს „გამყიდველისგან„ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით განსაზღვრული წესით მოპოვებული მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვისა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავებული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტის გადაცემა.

4.3.მოსთხოვოს „გამყიდველს“ ხელი არ შეუშალოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

4.4. მოსთხოვოს „გამყიდველს“ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შერულება.

მუხლი 4. საპრივატიზებო საფასური და გადახდის პირობები

1. საპრივატიზებო საფასური შეადგენს ------ (----------) ლარს დ.ღ.გ.–ს გარეშე.

2. ბეს თანხა“ 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარი მყიდველს საბოლოო ანგარიშსწორებისას ეთვლება საპრივატიზებო საფასურის ნაწილად, ხოლო საპრივატიზებო საფასურის დარჩენილი თანხის გადახდა წარმოებს წინამდებარე ხელშეკრულების 3.7 და 3.8 პუნქტებში მითითებული პირობების შესაბამისად.

3. დადგენილ ვადაში საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 5. მოვლა-პატრონობის და გასხვისების უფლება

1. ,,მყიდველს" უფლება აქვს განკარგოს დემონტაჟის შედაგად მიღებული ქონება საკუთარი შეხედულებისამებრ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების 3.7, 3.8 და 3.9 პუნქტებში მითითებული პირობები.

მუხლი 6. მყიდველის მიერ ვალდებულებების შესრულების დადასტურების წესი

1. „მყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დადასტურდება შესაბამისი მიღება ჩაბარაბის აქტით.

2. ,,მყიდველის“ მიერ წარდგენილი სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების საბოლოო ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მოცემული დროისთვის შესრულებული სამუშაოების და ამ სამუშაოების შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილების და მასალების შესახებ.

3. მას მერე რაც "მყიდველი" წარუდგენს გამყიდველს საბოლოო ანგარიშს, გამყიდველი მიმართავს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" შესრულებული სამუშაოების დემონტაჟის პროექტის შესაბამისად განხორციელების დასადასტურებლად.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ,,გამყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,გამყიდველის“ მიერ სამუშაოების და წინამდებარე ხელშეკრულებების

პირობების შესრულების კონტროლი.
2. ინსპექტირების განმახორციელებელი პირი ვალდებულია შეადგინოს ინსპექტირების აქტი იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების პირობების დარღვევას, დემონტაჟის წარმოების, გადახდის ვადების და სხვა საკითხებთან მიმართებით.
3. გამყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს ....

მუხლი 8. ხელშეკრულების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მყიდველის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ,,მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო, რომლის ოდენობაც განისაზღვრება;
ა) ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასურის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი მიიღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში/პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში/ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში აუქციონის შედეგები უქმდება და ქონება უპირობოთ უბრუნდება გამყიდველს. მყიდველს არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები. ასევე უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის თანხა გადაცემა გამყიდველს.
4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5. იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველის მიერ განხორციელდება ნაგებობების სრულად ან დიდი ნაწილის დემონტაჟი და დემონტაჟის შედეგად მიღებული მოძრავი ქონება გატანილი იქნება სადემონტაჟო ტერიტორიიდან ან დემონტაჟის შედეგად მიღებული მოძრავი ქონება გადაცემულ იქნება სხვა პირზე, ასეთ შემთხვევაში მყიდველს დაეკისრება დარჩენილი ნაგებობის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისათვის გაწეული დანახარჯების ანაზღაურება. ამასთან, აღნიშნულის დადგომის შემდეგ მყიდველს ერთმევა ქონებაძე ყველა უფლება, არ უბრუნდება გადახდილი თანხები, გაწეული დანახარჯები და ერთმევა უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია.
6. იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველის მიერ სრულად არ განხორციელდება სადემონტაჟო და სალიკვიდაციო პროექტში მითითებული სამუშაოები, რაც გამოიწვევს სადემონტაჟო და სალიკვიდაციო პროექტში მითითებული პირობების შესრულებისათვის დანახარჯეს, მყიდველს დაეკისრება გაწეული დანახარჯების ანაზღაურება.

მუხლი 10. სამართალმემკვიდრეობა

1. წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება სავალდებულოა თითოეული მხარის სამართალმემკვიდრეებისთვის და მემკვიდრეებისთვის.
2. თანხის ჩარიცვა მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.
2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორული მდგომარეობის დასრულებისთანავე.

მუხლი 12. დავის გადაწყვეტის გზები

წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა მოგვარდეს მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა გადაეცემა საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) გამყიდველის ინიციატივით ცალმხრივად, თუ მყიდველი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

გ) გამყიდველის ინიციატივით ცალმხრივად, თუ მყიდველის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) გამყიდველის ინიციტივით ცალმხრივად, თუ ცნობილი გახდა, რომ მყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 14. სხვა პირობები

1. წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია და ძალაში შედის მხარეთა შესაბამისი ხელმოწერის შემდეგ.
2. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, რომელიც არ არის მოწესრიგებული ხელშეკრულებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება შესრულებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამყიდველი	მყიდველი
სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“ მის: მცხეთა მთიანეთის რეგიონი, ს. წინამძღვრიანთკარი სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22, ანგ. № 709437499 საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851 დირექტორის მ/შ: ოთარ დაბრუნდაშვილი ----------	